

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება N227

29 სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანებაში (სსმ ვებგვერდი 15/05/2013, 360130000.22.023.016153) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგები აისახება კომისიის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს ეკოლოგიური ექსპერტიზის საექსპერტო კომისია და ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები.“

2. მე-9 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) საექსპერტო კომისია შედგება არანაკლებ 3 დამოუკიდებელი ექსპერტის ან/და ექსპერტისაგან. კომისიის ერთ-ერთ წევრს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც ამავდროულად ითავსებს კომისიის მდივნის ფუნქციებს.“

5) საექსპერტო კომისიის შემადგენლობას (მათ შორის, საექსპერტო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.“

3. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. საექსპერტო კომისიის მდივანი გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებისა, ახორციელებს:

ა) საექსპერტო კომისიის საქმიანობის ორგანიზებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებასა და აღრიცხვას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტების სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა ან/და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ასევე დამოუკიდებელ ექსპერტებთან დაგზავნას სათანადო განხილვის, შეთანხმების, დასკვნის მომზადებისა და დეპარტამენტში წარმოდგენისთვის“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი**

გიგლა აგულაშვილი